ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-19/714

2013 წლის 9 აგვისტო

ქ.ქობულეთი

,,კონკურსის მეშვეობით ქ. ქობულეთში, ცენტრალური ფეხბურთის სტადიონის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 ივლისის №01-19/588 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისaა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 9 აგვისტოს №01-14/1186 მომართვის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.შეტანილ იქნას ცვლილება ,,კონკურსის მეშვეობით ქ. ქობულეთში, ცენტრალური ფეხბურთის სტადიონის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 ივლისის №01-19/588 ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. კონკურსის საშუალებით ქ. ქობულეთში, ცენტრალური ფეხბურთის სტადიონის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ჯანსუღ ჯინჭარაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბადრი რომანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დავით ბოლქვაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

ქეთინო ხარაზი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

გურამ მჟავანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.".

2.ბრძანების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქ ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ე.ბაგრატიონი